



ფინანსური აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამბეკიძე“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირთავა

21 05 2018 წელი

N 32/36

ეგზ: N1

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
და მთავრობასთან არსებული ორგანიზაციების
(პროგრამული კოდი: 03 00)
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდის კონსოლიდირებული
ანგარიშგების ფინანსური აუდიტის ანგარიში

სარჩევი

ტერმინთა განმარტება	3
ინფორმაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის და მთავრობასთან არსებული ორგანიზაციების შესახებ	4
1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე	6
1.1 პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ	6
1.2 პირობითი მოსაზრების საფუძვლები	6
1.2.1 არასაოპერაციო შემოსავლები	6
1.2.2 არასაოპერაციო ხარჯები	7
1.2.3 სხვა არასწორად კლასიფიცირებული მუხლები	7
2. სხვა საკითხთა აზიჯი	8
2.1 შიდა კონტროლის სისტემა	8
2.2 შრომის ანაზღაურება	9
2.3 პროგრამული ბიუჯეტი	10
2.4 წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტის შედეგად გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებებისა და გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა	12
3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის და მთავრობასთან არსებული ორგანიზაციების ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე	12
4. აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე	12
დანართები - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის და მთავრობასთან არსებული ორგანიზაციების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება	15

ტერმინთა განმარტება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა - **მთავრობა**;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი - **მთავრობის აპარატი**;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო -
გარემოს დაცვის სამმართველო;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების
მართვის დეპარტამენტი - **საავტომობილო გზების დეპარტამენტი**;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი - **ტურიზმის
დეპარტამენტი**;


სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტო - **სატყეო სააგენტო**.

ინფორმაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის და მთავრობასთან არსებული ორგანიზაციების შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო, რომელიც ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელ ხელისუფლებას და განსაზღვრავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.

მთავრობის საქმიანობის ორგანიზაციული, სამართლებრივი, ანალიტიკური, ინფორმაციული და სხვაგვარი საქმიანობის უზრუნველყოფის, აგრეთვე მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებაზე კონტროლის მიზნით იქმნება მთავრობის აპარატი.

მთავრობის შემადგენლობაშია მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულებები, რომლებიც იქმნება სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გამგებლობას მიკუთვნებულ სხვა სფეროებში სახელმწიფოებრივი ამოცანებისა და საჯარო ფუნქციების განსახორციელებლად. მთავრობის და მთავრობასთან არსებული ორგანიზაციების სტრუქტურა წარმოდგენილია სქემის სახით:



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის და მთავრობასთან არსებული ორგანიზაციების 2017 წლის ასიგნებების მაჩვენებლები შემდეგია:

კოდი	დასახელება	დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი	სხვაობა	შესრულება (%)
03 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და მთავრობასთან არსებული ორგანიზაციები ¹	67,516,005	64,676,628	2,839,377	95.8
	მომუშავეთა რიცხოვნობა	472	447		
	ხარჯები	27,815,568	26,793,059	1,022,509	96.3
	შრომის ანაზღაურება	7,740,444	7,526,970	213,474	97.2
	საკონელი და მომსახურება	19,934,731	19,165,134	769,597	96.1
	გრანტები	2,000	1,106	894	55.3
	სოციალური უზრუნველყოფა	25,514	23,721	1,793	93.0
	სხვა ხარჯები	112,879	76,129	36,750	67.4
	არაფინანსური აქტივების ზრდა	39,659,614	37,842,747	1,816,867	95.4
	ვალდებულებების კლება	40,823	40,821	2	100.0
09 04	საწევროები საერთაშორისო ორგანიზაციებში ²	15,000	13,639	1,361	90.9
	ხარჯები	15,000	13,639	1,361	90.9
	გრანტები	15,000	13,639	1,361	90.9
სულ:		67,531,005	64,690,266	2,840,739	95.8

ცხრილი N1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის და მთავრობასთან არსებული ორგანიზაციების 2017 წლის ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრები (ლარი)

¹ „ბიზნესინტერესების დაცვის და ექსპორტის ხელშეწყობის“ პროგრამის (კოდი: 03 07) გარდა.

² ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი.

1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის და მთავრობასთან არსებული ორგანიზაციების ხელმძღვანელობას

1.1 პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის და მთავრობასთან არსებული ორგანიზაციების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს: „ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, „ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ“, „ანგარიში ფინანსური აქტივებით და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ“, „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, „ანგარიში არასაბიუჯეტო საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ“, „ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ და „ანგარიში ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ“.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგების შესახებ პირობითი მოსაზრების საფუძველზე აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის და მთავრობასთან არსებული ორგანიზაციების ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებს იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

1.2 პირობითი მოსაზრების საფუძველები

1.2.1 არასაოპერაციო შემოსავლები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის და მთავრობასთან არსებული ორგანიზაციების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანახმად, არასაოპერაციო შემოსავლები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 737,223 ლარს³. მოპოვებული მტკიცებულებებით დგინდება, რომ არასაოპერაციო შემოსავლების მონაცემი 714,127 ლარით, უზუსტოდ (გაზრდილად) არის წარმოდგენილი და ნაცვლად 737,223 ლარისა, შეადგენს 23,096 ლარს. აღნიშნული განპირობებულია შემდეგით:

- 1) საავტომობილო გზების დეპარტამენტს, მოქმედი რეგულაციების დაუცველად⁴, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებიდან მიღებული 72,000 ლარის ღირებულების რკინა-ბეტონის ფილები და 245,441 ლარის ღირებულების სარწყავი არხები ნაცვლად „გრანტებისა“, აღრიცხული აქვს „არასაოპერაციო შემოსავლებად“.
- 2) სატყეო სააგენტოს „არასაოპერაციო შემოსავლების“ ანგარიშზე აღრიცხული აქვს ორგანიზაციის მიერ ტყეებში გზების მოწყობაზე გაწეული დანახარჯები 396,686 ლარის ოდენობით, რაც მოქმედი

³ ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ (ბალანსის დანართი ფორმა N3), ანგარიშის N8100.

⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მე-20 მუხლის მე-2 პუნქტი, 23-ე მუხლის მე-6 პუნქტი, 38-ე მუხლი.

რეგულაციებით⁵, ექვემდებარებოდა საცნობარო მუხლში - „საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა“ (07) ასახვას.

არასაოპერაციო შემოსავლების სახით ოპერაციების შეცდომით აღრიცხვა მცდარ წარმოდგენას უქმნის ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს, რადგან არასაოპერაციო შემოსავლების (8100) ანგარიშზე აღირიცხება აქტივისა და ვალდებულების ისეთი სახის ზრდა/კლება, რომელიც ოპერაციების შედეგად არ არის წარმოქმნილი.

1.2.2 არასაოპერაციო ხარჯები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის და მთავრობასთან არსებული ორგანიზაციების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანახმად, არასაოპერაციო ხარჯები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგენს 59,439 ლარს. მოპოვებული მტკიცებულებებით დგინდება, რომ არასაოპერაციო ხარჯების მონაცემი 49,867 ლარით, უზუსტოდ (გაზრდილად) არის წარმოდგენილი და ნაცვლად 59,439 ლარისა, შეადგენს 9,572 ლარს. ზემოაღნიშნული განპირობებულია ბუღალტრულ გატარებაში დაშვებული შეცდომის გამო. კერძოდ:

- 1) საავტომობილო გზების დეპარტამენტს „არასაოპერაციო ხარჯებად“ აღრიცხული აქვს სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციისთვის გადაცემული 49,867 ლარის ღირებულების მატერიალური მარაგები (საგზაო ნიშნები), რომლებიც მოქმედი რეგულაციით წარმოადგენს „გრანტების“ მუხლით გაწეულ ფაქტობრივ ხარჯს და ექვემდებარებოდა შესაბამის ბუღალტრულ გატარებას⁶.

არასაოპერაციო ხარჯების სახით ოპერაციების შეცდომით აღრიცხვა მცდარ წარმოდგენას უქმნის ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს, რადგან არასაოპერაციო ხარჯების (8200) ანგარიშზე აღირიცხება აქტივისა და ვალდებულების ისეთი სახის კლება/ზრდა, რომელიც ოპერაციების შედეგად არ არის წარმოქმნილი.

1.2.3 სხვა არასწორად კლასიფიცირებული მუხლები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასთან არსებულ ორგანიზაციებში ფიქსირდება არასწორად კლასიფიცირებული მუხლების გამო გამოწვეული უზუსტობები. კერძოდ:

- 1) ა(ა)იპ - ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოს საბუღალტრო მონაცემებით, ორგანიზაციის მიერ განხორციელებულია საკუთარი სახსრებით 80,975 ლარის ღირებულების კაპიტალის შექმნა. მოპოვებული მტკიცებულებებით დგინდება, რომ სააგენტოს 2017 წელს „საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნის“ ოპერაცია არ განუხორციელებია, ხოლო აღნიშნულ ანგარიშზე შეცდომით აღრიცხული აქვს ორგანიზაციის მიერ წლის განმავლობაში არასაბიუჯეტო სახსრებით შეძენილი მატერიალური მარაგები.

⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი, 23-ე მუხლის მე-8 პუნქტი, მე-40 მუხლის მე-8 პუნქტი.

⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, „მატერიალური მარაგების უსასყიდლოდ გადაცემა აისახება სუბსიდიების (7500), გრანტების (7600), სოციალური უზრუნველყოფის (7700) და სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების (7821) ანგარიშების დებეტსა და მატერიალური მარაგების შესაბამისი ანგარიშების კრედიტში“.

- საბუღალტრო მონაცემებით, ორგანიზაციის მიერ „გრანტების“ სახით გაცემულია 45,673 ლარის ღირებულების მატერიალური მარაგები. აუდიტის შედეგად დგინდება, რომ სააგენტოს 2017 წელს მატერიალური მარაგების გაცემის ოპერაცია არ განუხორციელებია, ხოლო აღნიშნულ ანგარიშზე ორგანიზაციას შეცდომით აღრიცხული აქვს სააგენტოს სტრუქტურული ერთეულებისთვის გადაცემული მატერიალური მარაგები.

ზემოაღნიშნულმა უზუსტობებმა, ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე, შესაძლოა წარმოქმნას არასწორი გადაწყვეტილებების მიღების რისკები, რადგან საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნის ოპერაციის შედეგად იზრდება ორგანიზაციის ძირითადი საშუალებების მოცულობა, ხოლო გრანტების გაცემის ოპერაციით იცვლება სხვა ორგანიზაციის წმინდა ღირებულება.

აუდიტი წარმართეთ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენ ანგარიშის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით“. ჩვენ ვართ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) მოთხოვნების შესაბამისად, ორგანიზაციისგან დამოუკიდებელი აუდიტორები და შესრულებული გვაქვს INTOSAI-ის მიერ დაწესებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

2. სხვა საკითხთა აზიანი

2.1 შიდა კონტროლის სისტემა

საბუღალტრო სისტემა შიდა კონტროლის მექანიზმები, როგორც შესაძენი საწვავისა და გასაწევი საკომუნიკაციო ხარჯების ლიმიტების მაკონტროლებელი ორგანოს თანხმობით განსაზღვრასთან, ისე გაცემული საწვავის ხარჯვასთან მიმართებაში. მოქმედი რეგულაციით⁷, სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის ქონების საფუძველზე შექმნილმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს თანხმობით, შეიძლება განსაზღვროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ შესაძენი საწვავისა და გასაწევი საკომუნიკაციო ხარჯების ლიმიტები. აუდიტის შედეგებით კი დადგინდა, რომ შესაბამისი შეთანხმების გარეშე განსაზღვრული და გაწეულია 241,618 ლარის ღირებულების საწვავის და 2,766 ლარის - საკომუნიკაციო ხარჯი.

საბუღალტრო, სხვა საქმიანობასთან ერთად, ახორციელებს ტყეებში გზების მშენებლობას და დაზიანებული გზების აღდგენით/გაწმენდით სამუშაოებს. აღნიშნული საქმიანობის განსახორციელებლად, მხოლოდ სპეცტექნიკისათვის 2017 წელს გაიხარჯა 71,805 ლიტრი საწვავი. სპეცტექნიკის განთავსების ლოკაციების გათვალისწინებით, საწვავის გამართვა არ ხდება ბენზინგასამართ პუნქტებში და საწვავის მიტანა უშუალოდ სამშენებლო უბნებზე ხორციელდება სატრანსპორტო საშუალებებით, რასაც, წარმოდგენილი დოკუმენტაციით, დადგენილი რეგულაციის⁸

⁷ „სახელმწიფო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

⁸ სსიპ - აჭარის საბუღალტრო უფროსის ბრძანება (N01-03/21, 22/07/2013) - „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აჭარის საბუღალტრო სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული ადმინისტრაციების თანამშრომელთა უფლება - მოვალეობების დამტკიცების შესახებ“.

საფუძველზე, სამსახურებრივი ავტომატურად უზრუნველყოფს შესაბამისი სატყეო ადმინისტრაციის დირექტორი. საწვავის ფიზიკურად გადაცემაზე სატყეო ადმინისტრაციის დირექტორსა და სპეცტექნიკის მექანიზატორს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

მოპოვებული მტკიცებულებებით ირკვევა⁹, რომ საწვავის მიწოდებაზე არსებული კონტროლის მექანიზმი სათანადოდ არ მუშაობს, რადგან ხშირია შემთხვევები, როდესაც სატყეო ადმინისტრაციის უფროსი უშუალოდ არ მონაწილეობდა საწვავის გადაცემის პროცესში, თუმცა საწვავის გადაცემის დოკუმენტზე ფიქსირდება მისი ხელმოწერა. ხელმოწერის შესაბამის დროში განხორციელების ფორმალურობას ადასტურებს ფიქური კავშირგაბმულობის ოპერატორის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია, რომლის თანახმად, უფლებამოსილი პირების მობილური ტელეფონები მითითებულ თარიღებში არ ფიქსირდება შესაბამის გეოგრაფიულ არეალებში. ზემოაღნიშნული გარემოებების გამო, არსებული კონტროლის მექანიზმი ვერ ადასტურებს საწვავის მითითებულ დროში წარმოდგენილი მოცულობით გადაცემის ფაქტს.

აღნიშნულ პირობებში, 2016 წლამდე, კონტროლის რელევანტურ მექანიზმს წარმოადგენდა, სატყეო სააგენტოს სატრანსპორტო საშუალებებზე განთავსებული კონტროლისა და გადაადგილების მონიტორინგის სისტემა, GPS-ის მოწყობილობის საშუალებით. სისტემა უზრუნველყოფდა როგორც მიწოდებული საწვავის მოცულობის, ასევე საწვავის ამოსხმის შემთხვევების ფიქსაციას. სააუდიტო პერიოდში, სატრანსპორტო საშუალებებზე GPS-ის მოწყობილობის გამოუყენებლობას სატყეო სააგენტოს მენეჯმენტი ხარჯების დაზოგვას უკავშირებს, რაც ერთ სატრანსპორტო საშუალებაზე თვეში შეადგენს 35 ლარს¹⁰, ხოლო ჯამურად 9 ერთეულ სპეცტექნიკაზე - წელიწადში 3780 ლარს. მომსახურების ღირებულების გათვალისწინებით და სხვა, უფრო ეფექტიანი კონტროლის მექანიზმების არარსებობის პირობებში, სააგენტოს მოსაზრება ვერ იქნება მიჩნეული დასაბუთებულ არგუმენტად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ორგანიზაციაში საწვავის ხარჯვაზე ეფექტიანი კონტროლის მექანიზმების არარსებობა წარმოშობს საბიუჯეტო რესურსების არადანიშნულებისამებრ გამოყენების რისკებს.

2.2 შრომის ანაზღაურება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის და მთავრობასთან არსებული ორგანიზაციების 2017 წელს „შრომის ანაზღაურების“ დაზუსტებული ასიგნება განისაზღვრა 7,740,444 ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 7,526,970 ლარი, რაც დაზუსტებული ასიგნების 97.2%-ია. „შრომის ანაზღაურების“ ხარჯებიდან 4,720,330 ლარი გაწეულია თანამდებობრივი სარგოს სახით, 1,170,459 ლარი - პრემიის სახით, ხოლო 1,636,181 ლარი - დანამატის სახით.

საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციით, დანამატი მოიცავს არასამუშაო საათებში, ღამის ცვლაში, სადღესასწაულო და დასვენების დღეებში მუშაობისათვის განკუთვნილ დამატებით საზღაურს და კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნებისმიერ სხვა დანამატს, მათ შორის, დანამატს განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვისათვის. დანამატების გაცემის არსებული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფდა შრომის ანაზღაურების სათანადო გამჭვირვალობას, რადგან შესაბამისი ბრძანებები ზოგადია და არ არის სათანადოდ დასაბუთებული.

⁹ მათ შორის, სატყეო ადმინისტრაციის უფროსის წერილობითი განმარტება, რომლის თანახმად, საწვავის გადაცემას რიგ შემთხვევებში უზრუნველყოფდნენ მისი თანამშრომლები, თვითონ კი მოგვიანებით აკეთებდა ხელმოწერას.

¹⁰ ხელშეკრულება N01-38/01, 22/12/2014.

2.3 პროგრამული ბიუჯეტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის და მთავრობასთან არსებული ორგანიზაციების 2017 წლის დაზუსტებული საბიუჯეტო ასიგნება 67,531,005 ლარით განისაზღვრა. საანგარიშო პერიოდში პროგრამების შესრულება წარმოდგენილია ცხრილში:

კოდი	დასახელება	დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი	სხვაობა	შესრულება (%)
03 01	მთავრობის უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობა	3,477,800	2,868,501	609,299	82.5
03 02	გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო	4,342,944	4,214,169	128,775	97.0
03 02 01	გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სფეროს მართვა	1,311,156	1,234,479	76,677	94.2
03 02 02	გარემოსდაცვითი პროგრამა	43,500	43,500	0	100.0
03 02 04	ტყის დაცვა და მოვლა	191,910	191,655	255	99.9
03 02 06	საზოგადოების ცნობიერების ამაღლება	4,000	3,990	10	99.8
03 02 07	ორგანიზაციული მართვა და ინფრასტრუქტურული პროექტები	2,792,378	2,740,545	51,833	98.1
03 03	ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი	7,441,600	7,266,151	175,449	97.6
03 03 01	ტურიზმისა და კურორტების სფეროს მართვა და დარგის ეფექტიანი განვითარების ხელშეწყობა	1,401,040	1,387,490	13,550	99.0
03 03 02	აჭარის ტურისტული მარკეტინგი ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე	5,124,160	4,987,361	136,799	97.3
03 03 03	ტურისტული პროდუქტებისა და სერვისების განვითარება	916,400	891,299	25,101	97.3
03 04	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სამმართველო	1,981,416	1,976,283	5,133	99.7
03 04 01	საარქივო ფონდის დაცვა, შენახვა, გაუმჯობესება	1,981,416	1,976,283	5,133	99.7
03 06	საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი	50,272,245	48,351,524	1,920,721	96.2
03 06 01	საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვა	1,392,650	1,385,912	6,738	99.5
03 06 02	საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	48,879,595	46,965,613	1,913,982	96.1
03 06 02 01	გზების რეაბილიტაცია	29,250,599	27,910,430	1,340,169	95.4
03 06 02 02	ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია	6,023,423	5,792,848	230,575	96.2
03 06 02 03	სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია	780,973	748,264	32,709	95.8
03 06 02 04	საგზაო ტექნიკის შეძენა	1,138,000	1,138,000	0	100.0
03 06 02 05	საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა	11,686,600	11,376,070	310,530	97.3
09 04	საწვევოები საერთაშორისო ორგანიზაციებში	15,000	13,639	1,361	90.9
სულ:		67,531,005	64,690,266	2,840,739	95.8

ცხრილი N2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის და მთავრობასთან არსებული ორგანიზაციების 2017 წლის პროგრამული ბიუჯეტის შესრულების მონაცემები (ლარი)

როგორც ცხრილიდან ჩანს, პროგრამების შეუსრულებლობა თანხობრივად 2,840,739 ლარს შეადგენს, რაც ძირითადად განპირობებულია შემდეგით:

- ✓ „მთავრობის უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობის“ პროგრამაში¹¹ 609,299 ლარის აუთვისებლობა ძირითადად გამოწვეულია „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლში ორი ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერების ჩაშლით¹² (129,200 ლარი), „მივლინებების“ მუხლში - ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებების გადადებით (112,743 ლარი), „ოფისის ხარჯებში“ - მთავრობის აპარატის ადმინისტრაციული შენობის განახლებისათვის ინვენტარის შესყიდვაზე წარმოქმნილი ეკონომიებით (94,136 ლარი) და „შრომის ანაზღაურების“ მუხლში არსებული ნაშთით (152,224 ლარი), რაც განპირობებულია მთავრობის აპარატში არსებული ვაკანსიებით. კერძოდ, 2017 წლის პირველ-მეორე კვარტალში იყო 17 ვაკანსია, ხოლო მესამე-მეოთხე კვარტალში - 10 ვაკანსია.
- ✓ „გზების რეაბილიტაციის“ ქვეპროგრამაში 1,340,169 ლარის აუთვისებლობა გამოწვეულია შესაბამისი ხელშეკრულებებით¹³ გათვალისწინებულ ვადებში სახელშეკრულებო ვალდებულებების სრულად შეუსრულებლობის გამო, ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად შეუსრულებელი 611,297 ლარის ღირებულების სამუშაოებით. ასევე ხელშეკრულებების შესაბამისად, შესრულებულ სამშენებლო სამუშაოებზე საბოლოო ექსპერტიზის დასკვნების წარმოდგენამდე შემსყიდველის მიერ 416,468 ლარის დაკავებითა და სახელმწიფო შესყიდვების შედეგად გამოწვეული 312,404 ლარის ეკონომიით.
- ✓ „ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაციის“ ქვეპროგრამაში 230,575 ლარის აუთვისებლობა განპირობებულია შესაბამისი სამშენებლო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით განსაზღვრული გაუთვალისწინებელი სამუშაოების ღირებულების რიგ შემთხვევებში გამოუყენებლობით, რამაც ჯამში შეადგინა 128,727 ლარი. აგრეთვე საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოებში ნაწილობრივ განხორციელდა ორი ღონისძიება¹⁴, რის გამოც აუთვისებელი დარჩა 38,742 ლარი, ხოლო სახელმწიფო შესყიდვების შედეგად გამოწვეულმა ეკონომიამ 63,106 ლარი შეადგინა.
- ✓ „საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის“ ქვეპროგრამაში 310,530 ლარის აუთვისებლობა ძირითადად განპირობებულია 2017 წლის ნოემბერ-დეკემბერში მცირენაღებლობის გამო, თოვლის საფარისგან გზების გაწმენდის საჭიროების არარსებობით.

„საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვის“ პროგრამაში¹⁵, შესყიდვების შედეგად გამოწვეულმა ჯამურმა ეკონომიამ შეადგინა 420,955 ლარი. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ საავტომობილო გზების დეპარტამენტს, რომელიც ახორციელებს „საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვის“ პროგრამას, წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე, ტენდერების დასრულების თარიღის გათვალისწინებით, შეეძლო ახალი პროექტების მომზადება და შესრულება, რაც არ განუხორციელებია.

¹¹ პროგრამული კოდი: 03 01.

¹² NAT170014228 (80,500 ლარი); NAT170014227 (48,700 ლარი).

¹³ ხელშეკრულება N186, 06/06/2017; ხელშეკრულება N208, 21/06/2017.

¹⁴ ხელშეკრულება N315, 14/09/2017; ხელშეკრულება N354, 12/10/2017.

¹⁵ პროგრამული კოდი: 03 06 02.

2.4 წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტის შედეგად გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებებისა და გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის შედეგად გამოვლინდა სხვადასხვა სახის ხარვეზი. მათი გამოსწორების მიზნით გატარებული ღონისძიებების ანალიზით დადგენილია, რომ 2016 წლისგან განსხვავებით, 2017 წელს შტატგარეშე მოსამსახურეებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით, იდენტურ პოზიციებზე არ ფიქსირდება არსებითად განსხვავებული ხელფასები. ასევე მთავრობის აპარატში არ გამოვლენილა ქონების გადაცემასთან დაკავშირებით აღრიცხვა-ანგარიშგების ხარვეზები.

აქვე საყურადღებოა, რომ არ იქნა გატარებული ქმედითი ღონისძიებები დანამატების გაცემასთან დაკავშირებულ ნაკლოვანებაზე. კერძოდ, 2017 წელს, ისევე როგორც 2016 წელს, დანამატები გაიცემოდა მატერიალური კანონიერების (ზეგანაკვეთური ან/და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო სამუშაოს შესრულების) დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენის გარეშე. ამასთანავე მნიშვნელოვანია, რომ 2018 წლიდან კანონმდებლობის სრულყოფამ ხელი შეუწყო აღნიშნული საკითხის დარეგულირებას.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის და მთავრობასთან არსებული ორგანიზაციების ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია შეაფასოს ერთეულის ფუნქციონირებადობის (საჯარო მომსახურების უწყვეტად მიწოდების) უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის (უწყვეტობის) პრინციპის გამოყენებასთან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განზრახულია ერთეულის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან ასეთი ქმედების რეალური ალტერნატივა არ არსებობს.

4. აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 1000-1810) მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ

იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებას.

უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 1000-1810) შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. ამასთანავე ჩვენ აგრეთვე:

ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისათვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომელიც საკმარისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა, უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისათვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან დანერგილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას.

შევისწავლით აუდიტისათვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავვეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის და მთავრობასთან არსებული ორგანიზაციების შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე,

ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელების მიერ ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის (უწყვეტობის) პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ვადგენთ არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის და მთავრობასთან არსებული ორგანიზაციების ფუნქციონირებადობასთან (უწყვეტობასთან) დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ მთავრობის ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, სადაც აღწერილია აღნიშნული განუსაზღვრელობები ან, თუ ამგვარი შენიშვნები ადეკვატური არ არის, გამოვთქვათ მოდიფიცირებული მოსაზრება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, აუდიტის დასკვნის თარიღის შემდგომი მოვლენების ან პირობების გავლენით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი და მთავრობასთან არსებული ორგანიზაციების შესაძლოა აღარ იყოს ფუნქციონირებადი ერთეული.

ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. აგრეთვე უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას. მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი

საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.


აუდიტორთა ხელმოწერა

ჰენრი სანიკიძე
წამყვანი აუდიტორი

გურანდა გვაზავა
უფროსი აუდიტორი

გიორგი აბულაძე
აუდიტორ-ასისტენტი

17 მაისი 2018 წელი



**დანართები - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის და მთავრობასთან არსებული
ორგანიზაციების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება**
საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

კოდი	აქტივები	ანგარიშის ნომერი	01/01/2017	31/01/2017
I.	ფინანსური აქტივები და მოთხოვნები			
030	მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1211	352,128	493,051
090	დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	1260	5,889	703
100	დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	1270	1,042	0
210	მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით	1355	0	2,667
220	გადახდილი დღგ	1356	119	5,141
230	წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	1357	0	2,609
240	სხვა საგადასახადო აქტივი	1358	268	125
290	მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1431	313,918	1,217
300	მოთხოვნები აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1432	113,370	1,266,563
310	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1440	2,400	2,400
320	ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები	1450	18,223	32,900
330	მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	1460	0	238
340	მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით	1470	14,458	10,552
350	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1480	4,140	80,557
II.	არაფინანსური აქტივები			
410	სხვა მატერიალური მარაგები	1620	1,139,082	1,390,407
420	შენობა-ნაგებობები	2110	120,436,027	149,557,705
430	მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2120	6,281,718	7,026,438
440	სხვა ძირითადი აქტივები	2130	1,701,245	1,962,098
450	დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	2141	16,134	16,134
470	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200	81,750	122,740
490	არაწარმოებული აქტივები	2400	3,190,107	3,181,860
ბალანსი			133,672,018	165,156,105

კოდი	ვალდებულებები და კაპიტალი	ანგარიშის ნომერი	01/01/2017	31/01/2017
I. ვალდებულებები				
510	საქონლისა და მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3210	13,802	28,338
520	აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3220	43,673	332,361
540	გადასახდელი მოგების გადასახადი	3241	23,860	22,038
550	გადასახდელი დღგ	3242	743	6,473
570	სხვა გადასახდელები	3244	14,721	12,875
610	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით	3253	30	120
700	სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3280	14,273	14,273
II. კაპიტალი				
760	წმინდა ღირებულება	5100	132,970,403	164,020,972
770	საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	5210	43,066	16,488
780	გაუნაწილებელი მოგება	5220	547,447	702,168
790	დაუფარავი ზარალი*	5230	0	0
ბალანსი			133,672,019	165,156,106
III. საცნობარო მუხლები				
810	პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები	02	3,438	1,188
830	ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში	04	463,203	295,852
860	საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	07	0	0
870	ამორტიზებული ძირითადი აქტივები	08	12,393,163	13,067,955
880	ვადაგადაცილებული დავალიანებები	09	5,694	5,694
890	ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	10	622,290	869,290

ფორმა N2. ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

სტრიქონის კოდი	ხარჯების ჩამონათვალი	კოდი	ბიუჯეტით დამტკიცებული წლიური გეგმით	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (9-8)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
010	1. ხარჯები	2	27,888,598	27,830,568	27,162,628	26,806,698	26,806,698	34,560,631	7,753,933
020	1.1 შრომის ანაზღაურება	21	8,148,948	7,740,444	7,709,622	7,526,970	7,526,970	7,527,037	67
030	1.1.1 ხელფასები	211			7,709,622	7,526,970	7,526,970	7,527,037	67
040	1.1.1.1 ხელფასები ფულადი ფორმით	2111			7,709,622	7,526,970	7,526,970	7,527,037	67
050	1.1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო	21111			4,787,093	4,720,330	4,720,330	4,720,397	67
070	1.1.1.1.3 პრემია	21113			1,260,003	1,170,459	1,170,459	1,170,459	-
080	1.1.1.1.4 დანამატი	21114			1,662,526	1,636,181	1,636,181	1,636,181	-
120	1.2 საქონელი და მომსახურება	22	19,609,771	19,934,731	19,327,127	19,165,133	19,165,133	19,160,743	(4,391)
130	1.2.1 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	221			2,939,440	2,897,208	2,897,208	2,897,208	0
140	1.2.2 მივლინებები	222			309,391	260,577	260,577	260,487	(90)
150	1.2.3 ოფისის ხარჯები	223			774,371	767,771	767,771	745,392	(22,380)
160	1.2.4 წარმომადგენლობითი ხარჯები	224			523,575	523,575	523,575	531,712	8,137
170	1.2.5 კვების ხარჯები	225			880	880	880	880	-
180	1.2.6 სამედიცინო ხარჯები	226			3,744	3,744	3,744	3,744	-
190	1.2.7 რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	227			51,726	51,726	51,726	50,735	(991)
200	1.2.8 ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	228			2,662,731	2,621,973	2,621,973	2,539,516	(82,457)
220	1.2.10 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	2210			12,061,269	12,037,680	12,037,680	12,131,070	93,390

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
230	1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება	23			-	-	-	7,504,441	7,504,441
240	1.4 პროცენტი	24	-	-	-	-	-	-	-
320	1.5 სუბსიდიები	25	-	-	-	-	-	-	-
330	1.6 გრანტები	26	17,000	17,000	16,106	14,745	14,745	266,881	252,136
340	1.6.1 გრანტები უცხო სახელმწიფოთა მთავრობებს	261	-	-	-	-	-	52,797	52,797
350	1.6.1.1 მიმდინარე	2611	-	-	-	-	-	52,797	52,797
370	1.6.2 გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებს	262	17,000	17,000	16,106	14,745	14,745	13,719	(1,026)
380	1.6.2.1 მიმდინარე	2621	17,000	17,000	16,106	14,745	14,745	13,719	(1,026)
400	1.6.3 გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს	263	-	-	-	-	-	200,365	200,365
410	1.6.3.1 მიმდინარე	2631	-	-	-	-	-	21	21
420	1.6.3.2 კაპიტალური	2632	-	-	-	-	-	200,344	200,344
430	1.7 სოციალური უზრუნველყოფა	27	-	25,514	25,513	23,721	23,721	23,721	-
500	1.7.3 დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება	273	-	25,514	25,513	23,721	23,721	23,721	-
510	1.7.3.1 ფულადი ფორმით	2731	-	25,514	25,513	23,721	23,721	23,721	-
530	1.8 სხვა ხარჯები	28	112,879	112,879	84,260	76,129	76,129	77,810	1,680
590	1.8.2 სხვადასხვა ხარჯები	282	112,879	112,879	84,260	76,129	76,129	77,810	1,680
600	1.8.2.1 მიმდინარე	2821	112,879	112,879	84,260	76,129	76,129	77,810	1,680
მაჩვენებელი და სახელები		ბიუჯეტით		ბიუჯეტარეშე					
		გეგმით		ფაქტიურად		გეგმით		ფაქტიურად*	
1. შტატით მომუშავეთა რიცხოვნობა		472		447					
2. შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა		170		143		10		10	

ფორმა N2-1. ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

სტრიქო ნის კოდი	არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	ოპერაციების კოდები	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
010	1. არაფინანსური აქტივები	31	39,455,270	39,659,614	38,805,269	37,842,747	37,842,747
020	1.1 ძირითადი აქტივები	311	39,455,270	39,659,614	38,805,269	37,842,747	37,842,747
030	1.1.1 შენობა-ნაგებობები	3111	37,107,680	37,127,748	36,438,225	35,475,703	35,475,703
050	1.1.1.2 არასაცხოვრებელი შენობები	31112	261,185	321,238	317,275	317,275	317,275
080	1.1.1.5 გზები	31115	29,950,599	29,910,614	29,459,355	28,539,074	28,539,074
090	1.1.1.6 ხიდები	31116	1,400,000	1,400,000	1,329,501	1,329,501	1,329,501
110	1.1.1.8 საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები	31118	785,973	785,973	783,639	753,433	753,433
140	1.1.1.11 სხვა შენობა-ნაგებობები	311111	4,709,923	4,709,923	4,548,454	4,536,420	4,536,420
150	1.1.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	3112	1,872,550	2,056,826	1,892,004	1,892,004	1,892,004
160	1.1.2.1 სატრანსპორტო საშუალებები	31121	1,654,625	1,654,625	1,502,569	1,502,569	1,502,569
170	1.1.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	31122	217,925	402,201	389,435	389,435	389,435
180	1.1.3 სხვა ძირითადი აქტივები	3113	475,040	475,040	475,040	475,040	475,040
200	1.1.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები	31132	475,040	475,040	475,040	475,040	475,040
220	1.1.3.2.2 სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები	311322	475,040	475,040	475,040	475,040	475,040
230	1.2 მატერიალური მარაგები	312	-	-	-	-	-
300	1.3 ფასეულობები	313	-	-	-	-	-
310	1.4 არაწარმოებული აქტივები	314	-	-	-	-	-

ფორმა N2-2. ორგანიზაციის ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ

სტრიქონის კოდი	ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი	ოპერაციების კოდები	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
010	1. ფინანსური აქტივები	32	-	-	-	-	-
190	2. ვალდებულებები	33	-	40,823	40,821	40,821	40,821
200	2.1 საშინაო	331	-	40,823	40,821	40,821	40,821
270	2.1.7 სხვა კრედიტორული დავალიანებები	3318	-	40,823	40,821	40,821	40,821

ფორმა N3. ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

ანგარიშის №	დებეტი	თანხა	ანგარიშის №	კრედიტი	თანხა
ნაშთი წლის დასაწყისისათვის			ნაშთი წლის დასაწყისისათვის		132,970,403
7100	მომუშავეთა ანაზღაურება	7,527,037	4100	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	64,690,266
7200	საქონელი და მომსახურება	19,160,743	4200	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება პენსიებისა და დახმარებების გასაცემად	
7300	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	7,504,441	6000	შემოსავლები	243,150
7310	მ.შ. ფიზიკური ცვეთა	7,504,441	6300	მ.შ. გრანტები	241,037
7400	პროცენტი	-			
7500	სუბსიდიები	-			
7600	გრანტები	266,881			
7700	სოციალური უზრუნველყოფა	23,721			
7800	სხვა ხარჯები	77,810			
8200	არასაოპერაციო ხარჯები	59,439	8100	არასაოპერაციო შემოსავლები	737,223
3245	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით *				
	სადებეტო ბრუნვა	34,620,070		საკრედიტო ბრუნვა	65,670,639
	სულ ჯამი:**	34,620,070		სულ ჯამი:***	198,641,042
ნაშთი პერიოდის ბოლოს			ნაშთი პერიოდის ბოლოს		164,020,972

ფორმა N4. ორგანიზაციის ანგარიში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ

სტრუქტურის კოდი	დასახელება	გეგმით	საკასო	ფაქტიური	
010	ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისისთვის		352,128		
020	გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალის ნაშთი წლის დასაწყისისთვის			547,447	
030	შემოსულობები				
040	საოპერაციო შემოსავლები	504,370	536,487	464,983	
050	საანგარიშო პერიოდის შემოსავლები კლასიფიკაციის მიხედვით	504,370	536,487	464,983	
060	გადასახადები				
070	გრანტები				
080	სხვა შემოსავლები	504,370	536,487	464,983	
100	ბ) საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	404,370	500,174	435,628	
130	ე) შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	100,000	36,313	29,355	
180	სულ საოპერაციო შემოსავლები და შემოსულობები		536,487	464,983	
190	გადასახდელები				
200	საოპერაციო ხარჯები	438,365	368,880	337,843	
210	1. ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით	კოდი	438,365	368,880	337,843
220	1.1 შრომის ანაზღაურება	21	10,485	12,470	12,470
230	1.2 საქონელი და მომსახურება	22	325,590	256,937	287,136
240	1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება	23	-	-	4,211
290	1.8 სხვა ხარჯები	28	102,290	99,474	34,026
300	გადასახდელები		66,005	31,869	
310	2. არაფინანსური აქტივების ზრდა	31	66,005	31,869	
320	2.1 ძირითადი აქტივები	311	40,000	25,143	
330	2.2 მატერიალური მარაგები	312	26,005	6,726	
360	3. ფინანსური აქტივების ზრდა	32	-	-	
390	4. ვალდებულებების კლება	33	-	-	
420	სულ საოპერაციო ხარჯები და გადასახდელები	332	504,370	400,749	337,843
430	არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები				
440	არასაოპერაციო შემოსავლები		(1,043)	1,003	
450	კურსთა შორის სხვაობით მიღებული შემოსავალი		(1,043)	1,003	
550	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს		487,866	674,587	

ფორმა N5. ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება - გასვლის შესახებ

N	არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი წლის დასაწყისისა თვის	შესყიდვა წინა წლების ავანსები ს შემცირებ ით	მიღება							გასვლა							ნაშთი წლის(პერიო დისთვის) ბოლოს
				შესყიდვა მიმდინარე პერიოდის	არასაოპ ერაციო შემოსავ ლებით	გრანტებ ით	სხვა შემოსავ ლებით	საკუთარი სახსრებით კაპიტალი ს შექმნა	*სხვა მიღებებ ი	გაყიდვი თ	არასაოპ ერაციო ხარჯებ ი	გრანტებ ით	სხვა ხარჯები თ	საკუთა რი სახსრებ ით კაპიტა ლის შექმნა	ძირითადი კაპიტალი ს მოხმარება	საქონელი და მომსახურ ებით	*სხვა გასვლე ბი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19
010	1. მატერიალური მარაგები	1,139,052	48,221	2,983,162	72,000	47,914	2,113	80,975	22,445	12,987	50,123	47,845	1,565	-	-	2,867,098	25,857	1,390,407
030	1.2 სხვა მატერიალური მარაგები	1,139,052	48,221	2,983,162	72,000	47,914	2,113	80,975	22,445	12,987	50,123	47,845	1,565	-	-	2,867,098	25,857	1,390,407
040	1.2.1 ნედლეული და მასალები	292,282	-	98,328	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	224,528	-	166,082
050	1.2.2 დაუმთავრებელი წარმოება	15,537	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	15,537	-	0
060	1.2.3 მზა პროდუქცია	10,059	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	10,059	-	-
070	1.2.4 შემდგომი რეალიზაციისათვის შემენილი საქონელი	70,934	-	-	-	-	-	7,962	-	12,987	-	1,254	-	-	-	9,714	22,445	32,496
080	1.2.5 ფულადი დოკუმენტები	36,458	-	1,164,163	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	1,139,483	-	61,138
090	1.2.6 სათადარიგო ნაწილები	340,795	-	538,047	-	-	-	1,364	-	-	-	-	-	-	-	471,550	-	408,656
100	1.2.7 სხვა დარჩენილი მატერიალური მარაგები	372,987	48,221	1,182,625	72,000	47,914	2,113	71,649	22,445	-	50,123	46,591	1,565	-	-	996,228	3,412	722,035
110	2. ძირითადი აქტივები	128,435,124	-	36,996,580	665,223	185,978	-	-	-	-	8,406	191,179	-	-	1,069,486	6,451,459	-	158,562,376
120	2.1 შენობა-ნაგებობები	120,436,027	-	34,585,044	645,355	-	-	-	-	-	-	14,379	-	-	247,813	5,846,529	-	149,557,705
140	2.1.2 არასაცხოვრ. შენობები	9,916,677	-	264,962	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	163,022	3,875	-	10,014,742

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის და მთავრობასთან არსებული
ორგანიზაციების 2017 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება | 2018

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19
170	2.1.5 გზები	36,848,037	-	27,700,727	396,686	-	-	-	-	-	-	-	-	-	76,474	1,905,801	-	62,963,176
180	2.1.6 ხიდები	2,324,719	-	1,329,501	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	109,627	-	3,544,594
200	2.1.8 გაყვანილობის სისტემები	1,384,235	-	753,433	248,669	-	-	-	-	-	-	-	-	-	68	106,804	-	2,279,465
210	2.1.9 ელექტროგადამცემი ხაზები	69,962,358	-	4,536,420	-	-	-	-	-	-	-	14,379	-	-	8,249	3,720,422	-	70,755,728
240	2.2 მანქანა- დანადგარები და ინვენტარი	6,281,718	-	1,916,446	19,868	185,978	-	-	-	-	8,406	176,800	-	-	587,438	604,930	-	7,026,438
250	2.2.1 სატრანსპორტო საშუალებები	3,368,854	-	1,507,170	19,868	22,700	-	-	-	-	-	-	-	-	409,549	358,705	-	4,150,338
260	2.2.2 სხვა მანქანა- დანადგარები და ინვენტარი	2,912,864	-	409,276	-	163,278	-	-	-	-	8,406	176,800	-	-	177,888	246,225	-	2,876,100
270	2.3 სხვა ძირითადი აქტივები	1,701,245	-	495,090	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	234,236	-	-	1,962,099
290	2.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები	1,701,245	-	495,090	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	234,236	-	-	1,962,099
300	2.4 სხვა დანარჩენი ძირითადი აქტივი	16,134	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	16,134
310	2.4.1 დაუმთავრებელი ძირითადი აქტივები	16,134	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	16,134
330	3. გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	81,750	-	79,936	-	7,144	-	-	-	-	910	7,144	-	-	-	38,036	-	122,740
340	4. ფასეულობები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
380	5. არაწარმოებული აქტივები	3,190,106	-	-	-	-	-	-	-	-	-	8,247	-	-	-	-	-	3,181,860
390	5.1 მიწა	3,190,106	-	-	-	-	-	-	-	-	-	8,247	-	-	-	-	-	3,181,860

ფორმა N6. ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე

ანალიზური აღრიცხვის მონაცემები																	
დასახელება		საანგარიშო პერიოდის დასაწყისში		საანგარიშო პერიოდში მიღება				საანგარიშო პერიოდში გასვლა		საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (საკასო)				საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (ფაქტიური)			
				შემენა		სხვა სახით მიღება				სხვა სახით გასული		სულ ხარჯი	მათ შორის: შეკეთება	მათ შორის: საწვავი	მათ შორის: სათადარიგო ნაწილები	სულ ხარჯი	მათ შორის: შეკეთება
		რაოდენობა	ღირებულება	რაოდენობა	ღირებულება	რაოდენობა	ღირებულება	რაოდენობა	ღირებულება								
1	სატრანსპორტო საშუალება სულ:	157			1,462,500												
	მათ შორის:	157	2,535,711	15		44,604	36,768	6	60,757	2,726,895	612,209	1,538,002	576,684	2,556,394	610,401	1,469,813	476,179
			2,535,711	15		44,604	36,768	6	60,757	2,726,895	612,209	1,538,002	576,684	2,556,394	610,401	1,469,813	476,179
1.1	მსუბუქი	20															
			224,771	-	-	3	36,768	2	60,757	146,476	22,164	92,891	31,421	144,872	22,164	93,498	29,210
1.2	„ჯიპები“ და „პიკაპები“	11			324,499												
			140,799	6		-	-	-	-	441,899	105,292	253,556	83,050	359,906	99,645	197,469	62,792
1.3	სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებები	110			575,501												
			1,696,668	5		44,601	-	1	-	1,424,761	358,436	774,080	292,245	1,353,966	358,435	770,404	225,127
1.4	სატვირთო	16			562,500												
			473,473	4		-	-	3	-	713,759	126,317	417,474	169,968	697,650	130,157	408,442	159,051

ფორმა N7. ინფორმაცია ანგარიშებზე რიცხულ დებიტორულ დავალიანებათა შესახებ

N	დასახელება	მათ შორის, წარმოშობის წლების მიხედვით												
		თარიღი	1996-2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
		სულ:												
010	ს უ ლ:	1,390,851	2,969	-	-	46	66	14	-	389	830	42,584	1,197,732	146,221
020	შემოსულობები (დარიცხვით წარმოქმნილი დავალიანებები)	5,636	2,969	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	2,667
040	სხვა შემოსავლები	5,636	2,969	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	2,667
070	გადასახდლები (წინასწარ გადახდილი თანხებით წარმოქმნილი დავალიანებები)	1,385,215	-	-	-	46	66	14	-	389	830	42,584	1,197,732	143,555
080	შრომის ანაზღაურება	125	-	-	-	46	66	14	-	-	-	-	-	-
090	საქონელი და მომსახურება	85,725	-	-	-	-	-	-	-	56	-	6,718	-	78,951
100	მათ შორის: შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	4	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	4
120	ოფისის ხარჯები	4,989	-	-	-	-	-	-	-	-	-	8	-	4,981
130	წარმომადგენლობითი ხარჯები	3,877	-	-	-	-	-	-	-	26	-	-	-	3,851
170	ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები	30	-	-	-	-	-	-	-	30	-	-	-	-
190	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	76,825	-	-	-	-	-	-	-	-	-	6,710	-	70,115
250	გრანტები	10,552	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	10,552
270	სხვა ხარჯები	1,167	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	1,167	-
280	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,259,909	-	-	-	-	-	-	-	-	-	35,866	1,170,713	53,330
290	სხვა მოთხოვნები (გარდა საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული მუხლებისა)	27,736	-	-	-	-	-	-	-	333	830	-	25,852	721
320	სხვა დანარჩენი მოთხოვნები	27,736	-	-	-	-	-	-	-	333	830	-	25,852	721

ფორმა N8. ინფორმაცია ანგარიშებზე რიცხულ კრედიტორულ დავალიანებათა შესახებ

N	დასახელება	თარიღი	მათ შორის, წარმოშობის წლების მიხედვით											
		სულ:	1996-2006 წ.	2007 წ.	2008 წ.	2009 წ.	2010 წ	2011 წ.	2012 წ.	2013 წ.	2014 წ.	2015 წ.	2016 წ.	2017 წ.
010	ს უ ლ:	402,354	3,109	-	-	-	-	322	-	2,213	583	217	340,168	55,742
020	შემოსულობები (წინასწარ მიღებული თანხებით წარმოქმნილი დავალიანებები)	750	750	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
030	გადასახდელები	401,604	2,359	-	-	-	-	322	-	2,213	583	217	340,168	55,742
050	საქონელი და მომსახურება	24,534	140	-	-	-	-	322	-	2,213	109	83	5,984	15,683
070	მივლინებები	120	-	-	-	-	-	-	-	-	-	30	-	90
080	ოფისის ხარჯები	8,852	-	-	-	-	-	-	-	-	109	25	878	7,840
090	წარმომადგენლობითი ხარჯები	2,563	-	-	-	-	-	322	-	2,213	-	28	-	-
130	ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა - შენახვის ხარჯები	12,439	140	-	-	-	-	-	-	-	-	-	4,706	7,593
150	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	561	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	400	161
240	სხვა ხარჯები	42,040	2,219	-	-	-	-	-	-	-	10	-	1,244	38,566
250	სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები	42,040	2,219	-	-	-	-	-	-	-	10	-	1,244	38,566
270	არაფინანსური აქტივების შემენა	332,919	-	-	-	-	-	-	-	-	424	134	332,361	-
280	ძირითადი აქტივები	332,361	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	332,361	-
290	მატერიალური მარაგები	558	-	-	-	-	-	-	-	-	424	134	-	-
320	ფინანსური ვალდებულებები	2,112	-	-	-	-	-	-	-	-	40	-	579	1,493
330	სხვა ვალდებულებები	2,112	-	-	-	-	-	-	-	-	40	-	579	1,493
350	სხვა დანარჩენი ვალდებულებები	2,112	-	-	-	-	-	-	-	-	40	-	579	1,493

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE